**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**დადგენილება №36**
**2015 წლის 4 სექტემბერი**

**ქ. დედოფლისწყარო**

## დედოფლისწყაროს ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის №669 დადგენილების მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 05.02.2015 წლის №12 დადგენილების საფუძველზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

დედოფლისწყაროს ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი განისაზღვროს 100 (ასი) ლარის ოდენობით.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**მუხლი 3**

დადგენილების გასაჩივრება შეიძლება სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქ. № 15) უშუალო ზიანის მიყენებიდან სამი თვის ვადაში.

**დედოფლისწყაროს**
**მუნიციპალიტეტის საკრებულოს** **ზვიად ჯავახიშვილი**
**თავმჯდომარე**